ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ლესელიძის ქ. №15



თბილისი

2017, თებერვალი

საკვლევი ობიექტი „ზემო კალას“ ისტორიულ უბანში მდებარეობს, ყოფილი ყოფილი სომხური ბაზარის, ამჟამად ლესელიძის ქუჩის ზედა მონაკვეთში.

ისტორიულად „ზემო კალას“ ეს ნაწილი ძველი ქალაქის განაშენიანების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადგილია, რადგან ის ე. წ. ერეკლეს (ადრე გუბერნატორის) მოედნის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს და თბილისის ისტორიული ბირთვის ორგანული შემადგენელია.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში კალა (ზემო კალა) თბილისის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი იყო.



კალას „ზემო უბანში იყო განლაგებული უმთავრესი ნაგებობები: სასახლეთა კომპლექსი, ქარვასლები (მეფის, თბილელის, მელიქის), ქართული ეკლესიები (ანჩისხატი, სიონი, ნათლისმცემელი, კვირაცხოველი, ქრისტეშობის და სხვა), კათალიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი, თავადების (ამილახვარის, მუხრანბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანისა და სხვ) სახლები. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგს აშენდა ზემო უბანში ერთ-ერთი სომხური ეკლესია – სურფნიშანი“ (თ. კვირკველია ძველთბილისური დასახელებანი, 1985, გვ. 49).

ლესელიძის ქუჩა დღევანდელი სახით მხოლოდ XX საუკუნის II ნახევარში ჩამოყალიბდა. მანამდე კი როგორც კარგად ჩანს ისტორულ რუკებზე „სომხური

ბაზრის“ ქუჩის მრუდი რამდენადმე განსხვავებულად ვითარდებოდა მეიდნიდან ვიდრე „პასკევიჩ-ერევანსკის“ მოედნამდე.



ქუჩის და საერთოდ მიკროუბის ფუნქციური დანიშნულება იმთავითვე სავაჭრო - კომერციული იყო. ამას ადასტურებს, როგორც შემორჩენილი ისტორიული სახლების პირველი სართულების ხასიათი, ასევე საარქივო ფოტოებზე ამ ქუჩის ამსახველი ხედები.



ლესელიძის ქუჩის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მატარებელი ორ-სამსართულიანი ნაგებობები უმეტესწილად XIX საუკუნის II ნახევრის თბილისის არქიტექტურის სახასიათო ნიმუშებია, რომლებიც XX საუკუნის 70-იანი წლების სარეაბილიტაციო პროცესის ფარგლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა და იმ დროის რესტავრაციის შესაბამისად, მრავალი ახალი დეკორატიული ელემენტი დაემატა.





გარდა საკმარისად მოძველებული „ძველთბილისური“ სტილის რეკონსტრუქციისა, ლესელიძის ქუჩის განაშენიანება ასწევე საკმარისად გადატვირთულია 80-90-იანი წლების საკმარისად შეუსაბამო არქიტექტურის ნიმუშებით. ერთ-ერთი ასეთი „ამოვარდნილი“ ნიმუშია ცისფერი შუშებით გაფორმებული სასტუმროს მოცულობითი ფასადი. ეს შენობა სწორედ ლესელიძის ქუჩის ტეხილის ხაზზე ვითარდება და თავისი მკვეთრი გეომეტრიზმითა და გაზრდილი მასშტაბით სერიოზული დისონანსი შემოაქვს ქუჩის განაშენიანების დინებაში.





აღნიშნული შენობის მეზობლად და მოპირდაპირედ, ძირითადად ორ-სამსართულიანი მოცულობები დგას, თუმცა, ლესელიძის ქუჩის მომდევნო

მონაკვეთზე მასშტაბი უკვე ოთხ და მეტ სართულამდეა გაზრდილი. შესაბამისად, პრობლემური არის არა იმდენად შენობის მოცულობა, რამდენადაც მისი ფასადების ზედმეტად თვითმიზური ხასიათი, რომელიც ზედმეტ ყურადღებას იქცევს ისტორიული ქალაქის განაშენიანების კონტექსტში.





ლესელიძის ქ. №15 ასევე XX ს-ის მიწურულის არქიტექტურის ნიმუშია, რომელიც საკმარისად შეუსაბამოდ გამოიყურება დღევანდელი ისტორიული ქალაქის რეაბილიტაცია-განვითარების კუთხით. ეს მოცულობითი შენობა არც ე.წ. „ძველთბილისურ“ სტილისტიკას ეთანხმება და ვერც თანამედროვე ქალაქის ტურისტულ მიმზიდველობის მოთხოვნას აკმაყოფილებს.




შენობას საბჭოთა პოსტმოდერნისტული არქიტექტურის ხასიათი აქვს, რაც გამოიხატება მისი ფასადის გადაწყვეტაში სხვადასხვა თემატიკის არქიტექტურული ელემენტების – თაღების, ვიტრაჟების, სამკუთხა ფრონტონების გამოყენებით. მთლიანი მოცულობა წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის არის და ზედა მხარეს აწეული ფრონტონით დაგვირგვინებული ეკლესიის გუმბათის მაგვარი სეგმენტით სრულდება.

შენობის ქვედა, ორი სართული ერთიანად აღიქმება და შიდა სივრცეშიც ერთიანად არის გადაწყვეტილი. ეს ვრცელი სივრცეები ვიტრაჟული ფანჯრების რიგით ნათდება და სავარაუდოდ, თავდაპირველად რესტორნებისთვის ან საბანკეტო დარბაზებისთვის იყო განკუთვნილი.



ზედა სართული შეტყუპებული ფანჯრების რიტმით ნაწევრდება, რომელთა შორის განივი პილასტრისებრი ჩანართები არსებობს. შენობის ქვედა, ცენტრალური ნაწილი დიდი ზომის ოვალური თაღებით არის გახსნილი, რაც წესით უნდა ამსუბუქებდეს მასშტაბურ მოცულობას, მაგრამ ვინაიდან ზედა სართული ამ თაღს მთლიანად ფარავს, შენობა მაინც ერთიან და დაუნაწევრებელ მასად აღიქმება.

ლესელიძის ქ. №15 ფასადების მოსაპირკეთებელ მასალად გამოყენებულია ეკლარის ოქროსფერი ქვა, რაც ნაჭედი დეკორატიული ელემენტების შემკულობასთან ერთად, სრულიად შეუსაბამოა ისტორიული უბნის ხასიათთან და ასევე საკმარისად პრიმიტიულია თავისი ნახატით, რაც კიდევ მეტად აუარესებს ნაგებობის ექსტერიერის საერთო ღირებულებას.





შენობის უკანა მხარე კიდევ მეტად უსახურია და ერთფეროვანი. გლუვ, დაუნაწევრებელ კედლის სიბრტყეზე მხოლოდ კარ-ფანჯრების ღიობები არის დატანილი, რომლებიც ლითონის მოაჯირით მოსაზღვრულ მართკუთხა აივნებზე

გამოდის. ამ მხრიდან ნაგებობა საერთოდ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და მნიშვნელოვნად აზიანებს მიმდებარე ისტორიული განაშენიანების აღქმადობას.



შენობის ირგვლივ ურბანული მდგომარეობა არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, მის გაყოლებაზე, ლესელიძის ქუჩის მხარეს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად აღნუსხული ორსართულიანი სახლები მდებარეობს, ხოლო მეორე მხრიდან შენობა ემიჯნება სრულიად შეუსაბამო ექვსსართულიან კორპუსს, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში უნებართვოდ აშენდა ძველ უბანში.







შენობას ეზოს მხრიდან მცირე ზომის ბაღი აკრავს, რომლის ნაწილი დეკორატიული შადრევნების და კლუმბების ფორმით იყო გადაწყვეტილი, ხოლო მეორე ნაწილში ძველი გარაჟების რეკონსტრუირებული ნანგრევი მდებარეობს.



რეკომენდაციები

ლესელიძის ქ. №15, თბილისის ისტორიულ-არქიტექტურულ ცენტრში მდებარე ნაგებობის რეკონსტრუქცია მიზანშეწონილია მისი იერსახის მოწესრიგების და გამართული ფუნქციონირების მიზნით.

- შენობის მოცულობა საკმარისად მსხვილია, შესაბამისად მისი მასშტაბის მატება (მანსარდის სართულის დამატებით) უნდა მოხდეს ფრთხილად, ირგვლივ არსებული განაშენიანების მიმართ მაქსიმალურად კორექტულად;
- ფასადების შეფუთვა ახალი მასალით სასურველია უბნისთვის ტრადიციული საშენი მასალების: აგურის, ნალესობის, ან ხის ფაქტურის გამოყენებით, ამასთან ფსევდოისტორიული ელემენტების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის;
- სასურველია ფასადების გააზრება თანამედროვე არქიტექტურული ხერხებით ისე, რომ მთლიანობაში ნაგებობას აღარ ჰქონდეს პომპეზური იერსახე, არამედ ორგანულად ჩაეწეროს ისტორიული განაშენიანების კონტექსტში;
- შენობის არსებული გადახურვა ბრტყელია, რაც კიდევ მეტად აუარესებს მის ჩართულობას მიკროუბნის ტრადიციული გადახურვების სისტემაში. შესაბამისად, ახალ მოცულობას უნდა ჰქონდეს არაერთგვაროვანი, დანაწევრებული მეხუთე ფასადი, რაც შეარბილებს მისი მასის აღქმას ზედხედიდან;
- შენობის ფასადის გრძივი სიბრტყოვანების შესარბილებლად, აუცილებელია გახსნილი სივრცითი პაუზების შექმნა – თაღოვანი ღიობების ან სხვა გახსნილი სივრცითი ჩაანრთების სახით;
- სარეკონსტრუქციო ობიექტის მოცულობიდან გამომდინარე, მისი სახეცვლა მიზანშეწონილია მხოლოდ ყოველმხრივ გააზრებული, ქალაქგეგმარებითად დასაბუთებული პროექტის მიხედვით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი